



საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 50
03/10/2018

50-06-4-201810031811



დადგენილება N50 2018 წლის 3 ოქტომბერი

მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-მუხლის მე-2 ნაწილის, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-6 მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემოღებულ იქნეს მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებელი (შემდგომში - „მშენებლობის სანებართვო მოსაკრებელი“).

მუხლი 2. მშენებლობის სანებართვო მოსაკრებელი ახალსაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის განისაზღვროს:

- ა) საკურორტო ზონებში:
 - ა.ა) სააგარაკო და ინდივიდუალური სახლებისათვის - 4 ლარი;
 - ა.ბ) მრავალბინიანი სახლები, კომერციული დანიშნულების ობიექტები (სასტუმრო, სავაჭრო და გასართობი) - 4 ლარი;
 - ა.გ) სამრეწველო ობიექტი - 5 ლარი;
 - ა.დ) სამკურნალო-გამაჯანსაღებელი, სარეზილიტაციო პროფილის შენობა-ნაგებობებისათვის - 2.50 ლარი;
- ბ) ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე - 4 ლარი;
- გ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სხვა დანარჩენ ტერიტორიაზე:
 - გ.ა) კომერციული დანიშნულების ობიექტებისათვის-2,50 ლარი;
 - გ.ბ) ინდივიდუალური და სააგარაკო სახლებისათვის-2,50 ლარი;

დ) ობიექტის დემონტაჟი-2,50 ლარი;

ე) ხაზობრივი ნაგებობებზე თითოეული გრძივი მეტრისათვის:

ე.ა) II, III კატეგორიის ნაგებობებზე -1 ლარი;

ე.ბ) IV კატეგორიის ნაგებობებზე - 0.50 ლარი;

ვ) ისეთი შენობა-ნაგებობის (გარდა ხაზობრივი ნაგებობისა) მშენებლობის შემთხვევაში, რომელსაც არ აქვს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობი:

ვ.ა) II კლასის ობიექტებისთვის - 50 ლარი;

ვ.ბ) III კლასის ობიექტებისთვის - 200 ლარი;

ვ.გ) IV კლასის ობიექტებისთვის - 400 ლარი.

მუხლი 3. დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქცია დანართის შესაბამისად.

მუხლი 4. ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 1 აგვისტოს N42 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 07/08/2018, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250000.35.113.016362).

მუხლი 5. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო